# ივერია

გაზეთი ღირს

| თოვე | მან. | კ. | თოვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1888



ПОСТУПИЛИ ВЪ ПРОДАЖУ

„Родословныя русскихъ царей и князей“,

Составленныя И. Жгенти.

ЦѢНА 20 КОП.

ი ს ყ ი დ ე ბ ა

„გვარ-ტომობის ხე რუსეთის მეფეთა და მთავართა“,

შედგენილი ი. ჟღენტის მიერ. ფასი 20 კაპ.

2—2


ტფილისი, 19 სექტემბერი

ევროპაში ისევ ხმა გავრცელდა, ვითომ რუსეთსა და საფრანგეთს შორის მოსალოდნელი იყოს კავშირი. გერმანიისა და ავსტრიის გაზეთები თუმცა ძალიან შეუფიქრებია ამ ამბავს, მაგრამ ნამდვილ-სკი არაფერს ლაპარაკობენ. როგორც იწერებიან, ეს ხმა პარიჟელ გაზეთებს გაუვრცელებიათ და ამის შესახებ ავსტრიელი მწერლობა ამბობს, რომ ტყუილი იმედია რუსეთმა საფრანგეთს ხელი გაუწიოსო, მით უფრო, რომ თვით რუსეთში დიდის ეჭვით უყურებენ როგორც საფრანგეთს, ისე იმისს მეგობრობასაო. ასე ლაპარაკობენ, მაგრამ ხსენებული ხმა მაინც საბაასო საგნად გაუხდიათ, რადგანაც კარგად იციან, რომ რუსეთი და საფრანგეთი ის ორი სახელმწიფოა, რომლებიც გულ-მოდგინედ ებრძვიან შიდა ევროპის პოლიტიკასა და ძლიერებას.

ერთი რუსული გაზეთი დაწვრილებით ლაპარაკობს ამ საგნის შესახებ. ამ გაზეთის აზრით, ევროპა მანამდე ვერ მოისვენებს, სანამ რუსეთი და საფრანგეთი თავ-თავიანთს უფლებასა და სახელს არ აღადგენენ ევროპაშიო. სანამ ევროპაში სახელმწიფოთა შორის სამართლიანად არ იქნება განაწილებული უფლება და საპოლიტიკო სარბიელი, მანამდე გერმანია, ავსტრია და იტალია შიშში იქმნებიან, რადგანაც უთანასწორობას პოლიტიკაში უთანხმოება მოსდევსო. ამ ჟამად პოლიტიკის სასწორი შიდა ევროპისაკენ არის დახრილი და ამ გარემოებას ვერ მოურიგდება ვერც რუსეთი და ვერც საფრანგეთი. დღეს მთელის ევროპის პოლიტიკას გერმანია აძლევს მიმართულებას. დღევანდელი მდგომარეობა მოგვაგონებს ამ საუკუნოს პირველ თორმეტს წელიწადს, როცა მთელს ევროპას განაგებდა ნაპოლეონი. განსხვავება ის არისო, რომ დღეს ევროპის მეთაურობა დიდის ხერხითა და მეცადინეობით ხელში ჩაიგდო გერმანიამ, მაშინ-როდესაც საფრანგეთი და რუსეთი ერთად ძალ-ღონით გერმანიასა, ავსტრიასა და იტალიაზე ნაკლებნი არ არიანო. პოლიტიკის სასწორის შიდა ევროპისაკენ გადახრის მიზეზი ერთის მხრით საფრანგეთის შინაური არეულ-დარეულობა და სისუსტეა და მეორეს მხრით რუსეთის გულკეთილობა და სიფრთხილე. ერთითაცა და მეორითაც ოსტატურად სარგებლობდა თავადი ბისმარკი, რომელმაც მთელი პოლიტიკა დაამყარა მტაცებლობასა და ოსტატობაზე და არა თვით პოლიტიკის ბუნებაზეო. ამ გვარ მოსაზრებათაგან გაზეთს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ამ ყოფას ბოლო უნდა მოეღოსო, სადაც არის საქმის ბუნებამ უნდა სძლიოს ბისმარკის ოსტატობასა და მტაცებლობასაო. რუსეთი და საფრანგეთი, ვითარცა ძლიერნი სახელმწიფონი, უსათუოდ დაიბრუნებენ წინანდელს სახელსა და მნიშვნელობას ევროპის საქმეებში.

ამ გვარი ყოფა ყველას კარგად ესმის და ეს არის იმისი საბუთი, რომ გერმანია და ავსტრია მუდამ შეთოფ-იარაღებაზე ჰზრუნავენ და თან მშვიდობიანობას ჰქადაგებენ. ამათთან ერთად ემზადებიან პატარა სახელმწიფონიც; თან გულმოდგინედ ემზადებიან საომრად და თან თავიანთს ძალ-ღონეზე დაიმედებულნი არ არიან და მხოლოდ ელოდებიან მარჯვე შემთხვევას, როცა საპოლიტიკო ანგარიშის გასწორებას შეუდგებიან.

ოსმალეთსა და საბერძნეთს ისეთი უთანხმოება მოსვლიათ, რომ საბერძნეთს თავისი ფლოტი გაუგზავნია იმ კუნძულებისაკენ, რომელიც ოსმალეთის საკუთრებას შეადგენს და ბერძნებით არის დასახლებული. საბერძნეთი ასე მოიქცა იმიტომ-რომ ოსმალეთის გუბერნატორი კეიმალ-ბეი, ტრაქტატის მიუხედავად, მეტად აწუხებს და სჩაგრავს ბერძნებს. საბერძნეთის მართებლობამ, სანამ ამ ზომას იხმარდა, ოსმალეთს მიჰმართა საჩივრით, მაგრამ, რაკი ოსმალეთმა ხმა არ გასცა, თითონვე გამოესარჩლა ბერძნებს.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, კვირას, 18 სექტემბერს, ნასადილევის $3^1/_2$ საათზედ, დიდუბის მინდორზედ გაიმართა მეორე დოღი. დოღი ამ ხელადაც ოთხი რიგობა იყო. პირველ რიგობაზედ ეხლაც გამოვიდნენ ორნი და დოღის გამმართველ საზოგადოებისაგან გადადებული იყო ჯილდოდ სულ 500 მან.: უმთავრესად—400 მან., მეორედ—100 მან., მესამედ—ხელის-მოსაწერი ფული. ხელის-მოწერა ცხენზედ ერთი თუმანი ერთმეოდათ. სარბენ მანძილად დანიშნული იყო 4 ვერსი. სადოღოდ, როგორცა ვსთქვით, ორი ცხენი ჩაწერილიყო—ვ. ა. ბერგისა ფაშატი «როიალ-მერი», 5 წლისა და წონით 3 ფუთისა და 24 გირვანქისა, და ა. ა. გრამოტინისა ყომრალი ულაყი „ალკიდი“, იმავე წლოვანებისა და წონისა. წარსულ დოღზედაც ეს ორი ცხენი გაიჯიბრა და „როიალ-მერმა“ აჯობა. ეხლაც პირველმა ცხენმა გაიმარჯვა; „ალკიდი“ გაცილებით შორს დასტოვა, უმთავრესი ჯილდო აიღო და 4 ვერსის მანძილი 6 წუთსა და 1 წამს გაირბინა.

მეორე რიგობაზედ გამოვიდა ოთხი ცხენი—1) ბ. პედისოვისა ყომრალი ფაშატი „ლიდა“, კაბარდოელისა და არაბულის ჯილაგისა, 4 წლისა და და 3 ფუთისა 11 გირ.; 2) ვ. ნიკიფოროვისა ფაშატი „სონა“, ბორჩალოს ჯიშისა, 4 წლისა, 3 ფუთ. 11 გირ.; 3) ბ. პედისოვისავე ფაშატი „მუზა“, ინგლისის ულაყ ცხენისა და კაბარდოელის ფაშატის ჯილაგისა, 5 წლისა, 3 ფუთ. 19 გირ. და 4) ზიულგადაროვისა ულაყი „ხოსროვი“, საკუთარის ქარხნისა, 4 წლისა, 3 ფუთ. 16 გირ. პირველ ჯილდოდ დანიშნული იყო 200 მან., მეორედ 20% ჯილდოსი და ხელის მოსაწერ ფულისა, მესამედ—თავისი ხელ-მოწერილი ფული. გასაქცევ მანძილად

## ფელეტონი

### დარეჯანი *)

(ფშავლების ცხოვრებიდამ)

### III

კვირა დღე იყო. ჯერ მზე არ ამოსულიყო. ბერაანთ სახლის ბოლოს მურყნიანში, წისქვილის სარუის გვერდზე, დარეჯანის ყვირილი, ჯავრობა ისმოდა. იმას ხელი ჩაევლო ორის ბალღისათვის, სახე-ალეწილი ელაპარაკებოდა ჯავარას, რომელსაც ზურგზე ფქვილიანი გუდა ეკიდა.

— ე ბალღევ სადღა მიგიდის, დაო?!—ჰკითხავდა დარეჯანს ჯავარა

— სიკვდილმა რო დაბუნდოოს ამათი დედა, იქ მიმიდის,—სთქვა დარეჯანმა და თან დაანუგეშა მტირალი ორი ბავშვი:—ნუ იტირებთ, შვილო, დედას თქვენი მალე მოალის.

— აცა, დამარხე ჯავარაი, მაინც რა არი?

— ის არი, ქალო, რო ამათ დედა გამიხარდას გაჰყოლია, გასტაცებინებია, ბალღებისად თავი დაუნებებავ.

— უყურე, უყურე იმ ანამუსოსა!

— მე-კი არ ვიყავ ქერივი, სხვა რამდენია კიდევა,—აბა სხვას რომენს უქნავ ეგ საქმე, ეხლა მაგ კახპამ რო ჩაიდინა. აუ, ეს რაღა მოვიხილე, თქვენი ჭირიმეთ... მე ხო დავიწვი დილას ამათ ცოდვითა. ჩაღუნაობა მივიდოდი. ამათ კარისას გავიარე, გავიგონე ბალღების ტირილიდ, წიოკი. კარი გარეთაით იყო გადარაზული. გავაღე, შაველ, ე სუ ბატარიკა ვაჟაი ტირილისაგან მისუსტებული პირ-ქვე წაქცეულიყო და ე დიდი-კი დავიდოდა დაკელთილივითა და სჭყვენავდა ყურემარევბსა. ვაჰმე! დედა სადა გყავთო? ვკითხე. კაცს რასამ გაჰყვა, თავის ბარგი და ხურჯინებიც თან წაიღო და წავიდაო, ე დიდამ მითხრა. მაზლიც არა ჰყოლია შინა იმ დაბუნდუებულსა. ჯავარა გაფითრებული და გაშტერებული შესჩერებოდა დარეჯანს. ვაჰმე, განაგრძო დარეჯანმა, სად არი კაცი და პატრონი, ღასტაცე იმას ი ბუწუწები და დაბეგვეო, გაუნაყე ი თავრიელა ქვებზედაო!.. ფშავის ხევს მადლი გამეელიაო, ნიადაგ გამეელევა, ნამუსი აღარცა არი და ნდობა. რაად-ღა უნდა ეხლანდელს დროში კაცს სიცოცხლე, რო მოკვდეს ის არ ურჩევნავა?!.

— მემრე შენ რას უზამ მა ბალღევბსა? ჰკითხა ჯავარამ.

— უნდა წავასხა შინა, მანამ ბიძა მაუვალის. მა რა უყვა, შე ჩემ თავმამკედარო!?

— კარგია, დაო, დაილამა,—სთქვა ჯავარამ:—მალე მუალის ი კაცაიცა. მე მგონავ იორზე არი წასული.

დარეჯანი წამოვიდა და ბავშვებიც თან წამოასხა, წამოიყვანა, ერთი ხელში ეჭირა და მეორე ხელი-ხელს ჩავლებული მოჰყვანდა. იმან სოფელში ერთი ალიაქოთი ასტეხა, ყველას გული შეძრწუნდა.

— ნუ რა კარგი მაახილებინოს ამათ დედას ღმერთმა და იმ ჩემის მამის სალოცავმა. რა გაუჭირდა ისითაი, იმ ღვთის ნავნებსა, რო დაობლა ეს ბალღები! დარეჯანმა ბალღებს რძე აუდულა, აჭამა და დააშოშმინა... ეხლა დარეჯანის წუხილი ის იყო, რომ სადმე შეხვედროდა მზევინარსა... ამბობდნენ, რომ შეჰხვდა და ატირაო, თუმცა-კი მეორე ქმრისათვის თავი ვერ დაანებებინაო...

— თავი დამანებე, ჩემო დარეჯანო, აგრემც გიცხონდებიან მკვდარნი, ეუბნებოდა მზევინარი თვალ-ცრემლიანი დარეჯანსა, როდესაც იგი თავს წაადგა ერთხელ საქონელში მყოფსა და თავისებურად დაუწყო შოლტვა: რაღა ცქნა, შავცდი, თავს ხო არ მამაკლევინებთო.

დარეჯანზე სოფელში იმასაც ლაპარაკობდნენ, თუ „როგორ აკადრებინა ერთს მოხელეს უკან დაეწია“. ბრძოლა მოხელესთან დარეჯანს თავისის შვილის გამახარეს თაობაზედ მოუხდა. დარეჯანი შეშაზე იყო წასული. იგი იმ დროს დაბრუნდა, რომ მოხელე გამახარეს მათრახით სცემდა. გამახარე-კი მარტო თავზე ხელებს იფარებდა. დარეჯანი აენთო, საჩქაროდ ტვირთი მოიგდებინა და „შესტაცა“—დაუჭირა ლაგმის ტარი მოხელის ცხენსა.

— ვინა ხარ შენა,—სთქვა დარეჯანმა ათრთოლებულის, აკანკალებულის ხმით:—რაზე მიკლავ შვილსა, შე ურჯულოვ?! მოხელემ იმასაც მოუღერა მათრახი, მაგრამ ისევ მალე ძირს დაუშო, რადგან დარეჯანი უკან გადგა და შუბი გაუსწორა,—ხელი არ მახლო, ჩემის გამახარეს დღეგრძელობამა, თორო!.. მოხელემ მართლა „უკან დაიწია“ და შემდეგ თავისიანებს აცინებდა ხოლმე ამ შემთხვევით. „რას ვიზამდი, ყმაწვილო, ხანში შესული დედაკაცი იყო... Но подобной женщины еще не встрѣчалъ! სწორედ სულთა-მხუთავივით დამეცა თავზე, ერთი ახმახი რაღაც იყო; дикарка, дикарка, чистая дикарка!“

— შენ-კი არა გსხიან ხელნი, შე მწერელ-ჩვილო, შე უგერგილოვო,—უთხრა დარეჯანმა გამახარეს:—რას ეთრევინები?..

— დიდი კაცია, მაგას ხელი არ შავბრუნება, დედავ, რა მექნა? სთქვა გამახარემ და ჯავრი დედის სიტყვების შემდეგ-ღა შეეტყო, უდროვოდ დარწმუნდა, რომ საქმე წააგო... მაგას რა ნება აქვ, რო ჩემს კარზე მიხდება და მცემს?! სთქვა გამახარემ წამოწითლებულმა.

— კარგი, სუ, სუ, ბიჩავო! შენი რა იმედი უნდა მქონდეს, რო დავარდე მთელი ქვეყანა გადამქელავს! დაუმატა დარეჯანმა ამოოხვრით..

### IV

დარეჯანს თუმც თავისს სოფელშიაც ბევრი სადავიდარაბო და სავაგლახო საქმე ჰქონდა, მაგრამ ის იქით-აქეთაც გადაედ-გადმოედებოდა. აქ უნდა შევნიშნოთ დარეჯანის ქიზიყს წასვლა და მიზეზიც ამ წასვლისა. მაშინ მე მოსწავლე გახლდით და სოფლად ვსცხოვრებდი. ერთს დღეს, არ-კი მახსოვს რა დღე იყო, დარეჯანმა დილაადრიანად დამაფეთიანა.

— ადე, ბიჭო, ადე,—დამძახოდა თამამად დარეჯანი,—გაგონილა ამ დრომდე ძილი?! სკოლაში იმას თუ გასწავლიანთ შუადღემდი იძინეთო? ადე, მეჩქარება, საქმე მაქვ!—დარეჯანი ისე დარწმუნებულად და გაბედულად მეუბნებოდა ამ სიტყვებს, თითქოს მოვალე ვიყავი იმისი საქმე გამეკეთებინა. დიაღაც მოვალე ვიყავ, რადგან დარეჯანს უჭირდა.

— რა გინდა, რა ამბავია, დარეჯანო? ვკითხე.

— ის ამბავია, შენს თვალთ ენაცვლოს დარეჯანი, შენ ერთი ქაღალდი უნდა გამიკეთო, რა ვიცი ბილეთს ეძახიანა, ბიჭო, თუ მილეთსა, ქიზიყს ვაპირობ წასვლასა.

— ეჰ, რადა ხარ დაუსვენარი, მოუსვენარი დედაკაცი, რა გექიზიყება, იქ რა დაგრჩომია. რაღა დროს შენი აქეთ იქით სიარულია?

— შენ რაღას ამბობ, ბალღო,—მითხრა დარეჯანმა ხმა-მაღლა:—მოუსვენარი რას მიქვიან?! საქმე მაქვ და

*) იხ. „ივერია“ № 195.

2 ვერსი და 100 საჟ. იყო დადგენილი. გაქცევისათანავე, ცხენები ჯერ სულ 60 საჟ. მანძილს არ გასცილებოდნენ, ნიკიფოროვის „სონა“ უკან ჩამორჩა ისე ძალიან, რომ მხედარი, ვილაც იორდანე, იძულებულ შეიქმნა ნახევრის მეოთხედ გზიდგანვე უკან დაებრუნებინა და დოლისათვის თავი დაენებებინა. ამ მეორე რიგობაზედ ბ. პედისოვის „მუზამ“ აჯობა წარსულს დოღზე გამარჯვებულს ზიულგადაროვის „ხოსროვს“, პირველი ჯილდო აილო და 2 ვერსი და 100 საჟ. 3 წუთსა და 10 წამს გაირბინა.

მესამე რიგობაზედ სახალხო დოლი გაიმართა. სულ ჯილდოდ 150 მან. იყო დანიშნული. პირველს ცხენს უნდა მიელო 75 მან., ხოლო დანარჩენი სამს უნდა გაეყოთ. გასარბენ მანძილად 4 ვერსი იყო დანიშნული, გასაჯიბრებლად გამოვიდა 4 ცხენი— 1) ა. ა. გრამოტინისავე ულაყი „ალკიდი“; 2) ჰუსეინ-ზებედი-ოღლისა ფაშატივე „ნიაგერი“, ბორჩალოს ჯიშისა, 4 წლისა; 3) ვ. ნიკიფოროვის ულაყი „სონავე“; 4) ალლავერსკისა ყომრალი ულაყი „ფურგონი“, ბორჩალოს ჯიშისა, 4 წლისა. ამ მესამე რიგობაზედ უმთავრესი ჯილდო აილო გრამოტინის „ალკიდმა“ და 4 ვერსის მანძილი 6 წუთსა და 36 წამს გაირბინა; დანარჩენნი სამნი კარგა შორს მანძილზედ დასტოვა, ხოლო ყველაზედ მეტად-კი, თითქმის ნახევარს ვერსზედ, სამთავეს ჩამორჩა ნიკიფოროვის „სონა“.

მეოთხე რიგობაზედ ერთად-ერთი ცხენი გამოვიდა, რადგან ერთის მეტი არავინ ჩაწერილიყო. ეს ცხენი იყო ვ. ა. ბერგისა ფაშატი „როიალმერი“, რომელზედაც თითონ პატრონი იჯდა. პირველ ჯილდოდ დოლის გამმართველ საზოგადოების მიერ დანიშნული იყო ვერცხლის ნივთი, მეორედ—ხელის-მოსაწერი ფული, ე. ი. ხუთი მანეთი. გასარბენ მანძილად 2 ვერსი იყო დანიშნული. რადგან ჩაწერილი ამ ერთის მეტი არ იყო, ამიტომ ცხენს 2 ვერსის მანძილის შემოსარბენ ვადად დაუნიშნეს 4 წუთი 47 წამი, ხოლო ცხენმა 3 წუთსა და 3 წამში შემოირბინა და ორივე ჯილდო მიილო. ვერცხლის ნივთი ორივეჯელ, როგორც წარსულს დოღზე, ისე ეხლაც, ბერგის „როიალმერმა“ დაიმსახურა. ეხლა საჩუქარ ვერცხლის ნივთად იყო შაქარდანი მაშითურთ და სარძევე.

ჩვენ წარსულს დოღზედ ვსთქვით, რომ ხალხი ერთობ ცოტა დაესწრო და დოღიც ვერაფერი იყო, უფრო ყმაწვილოთა თამაშობასა ჰგავდაო. ამის თქმის საბუთი ეხლა უფრო მეტი გვაქვს, რადგან მეორე ხელობაზედ ხალხი უფრო ცოტა იყო და ცხენებიც პირველზედ გაცილებით მდარენი.

*** 17-ს ამ თთვისას შემდეგი უბედურება მოხდა მუშტაიდში, სადაც ამ ჟამად ახალს ხის შენობას აშენებენ. ეს შენობა საკმაოდ მაღალია. ზემოხსენებულს დღეს, დილის ცხრა საათზედ, მაღლიდგან ჩამოცვივნულან თორმეტი ხელოსანი მუშა, ზოგი დურგალი და ზოგი მხატვარი. ეს მუშები მდგარან ცუდად გადებულს ხარაჩოებზე და ფეხ ქვეშ ფიცარი გასტეხიათ. ზოგიერთი მათგანი ძალიან დაშავებულა, მაგრამ სიკვდილით-კი არავინ მომკვდარა. მუშები იმ წამსვე საქალაქო საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** იმავე დღეს „კიროჩნის“ ქუჩაზე ერთი რკინის გზის «კუჩერი» ვაგონსა და ვაგონს შუა მოხვდა და ძალიან დაზიდა: ხელ-ფეხი ძალიან დაზიანებული აქვს. საბრალო თურმე ერთის გაქანებულის ვაგონიდგან მეორე გამოქანებულს ვაგონში უნდა გადამხტარიყო, მაგრამ ისე მარდად გადახტომა ვერ მოახერხა და ვაგონსა და ვაგონს შუ მოჰყვა. დაშავებული საქალაქო საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** 18-სამ თთვისას ჩამოვიდა ახალქალაქის მაზრიდგან ას სამოცზე მეტი ფურგონი «დუხობორებისა». ფურგუნზე დღეში ეძლევათ ხუთი მანეთი, ცხენების ხარჯს გარდა. ეს ფურგუნები დგანან ჯერ-ჯერობით ვერაზე და ყოველ დღე ცხენებსა სწრთვნიან.

*** ქალაქის სამმართველოს ამ დღეებში გაუგზავნია ერთი ბაზრის ზედამხედველი ერევანსა და განჯაში სხვა-და-სხვა საუკეთესო ხილეულის მოსატანად.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ქუთაისის დრამატიული დასი დაიწყებს სათეატრო სეზონს 30-ს ამ თთვისას. პირველად ითამაშებენ პიესას „მეორედ გაყმაწვილება“.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ თოთხმეტი კავკასიელი სტიპენდიანტი, რომლებსაც წელს სწავლა დაუსრულებიათ უნივერსიტეტებში, სამასწავლებლო მთავრობას სავალდებულო სამსახურიდგან გაუნთავისუფლებია, რადგანაც თავისუფალი ადგილები არა ჰქონია.

*** სარწმუნო წყაროდგან შევიტყეთ, რომ მართებლობას განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში ქ. ბათუმში გამართოს სატეხნიკო სასწავლებელი.

*** **სოხუმი:** კარგა ხანია, რაც ექიმებმა ყურადღება მიაქციეს სოხუმის ჰავასა და მარგებლად აღიარეს იგი ავადმყოფთათვის. ამისდა მიხედვით, დიდ-ძალი ავადმყოფი მოდის სოხუმში, მაგრამ ვაი იმათი ბრალი. ქალაქი სრულიად მოწყობილი არ არის და ავადმყოფთათვის რიგიანი სადგური იშვიათია და ძვირიცა. ამიტომ თავ. გრ. შ—ძეს განუზრახავს ერთი დიდი სახლიააშენოს ჰიგიენურად და სხვაფრივადაც კარგად განწყობილი ავადმყოფთათვის.

*** **იქიდამვე:** აქ ამ ჟამად ოთხი ინჟინერი მუშაობს. ერთი ნავთ-სადგურს აკეთებს, მეორეს ყუბანის ოლქისაკენ გზა წვრილი გაჰყავს, მესამეც, აგერ სამს წელიწადზე მეტია, გზატკეცილს აკეთებს შავის ზღვის პირს, დასავლეთისაკენ. მეოთხეც ახლა ჩამოვიდა, ამან უნდა გააკეთოს რკინის ბოგირები მდ. კოდორსა და ენგურზე. რკინის ხიდები-კი არა, ხისაც დიდი ბედნიერება იქნებოდა აქაურებისათვის, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ადგილებში უბრალო გზაც არა გვაქვს.

*** **კახეთიდგან გვწერენ:** ამ ზაფხულს ჩვენში რამდენიმე უბედურება მოხდა. არაშენდაში მოკლეს მდიდარი თათარი სულეიმანი, ველისციხეში ურია ხახამი, შილდასა და რუისპირში-კი, ძმებმა თავისივე ძმები დახოცეს. აი, შილდაში საქმე როგორ იყო: უფროსი ძმა ვენახსა რწყავდა. უმცროსმა ძმამაც, რომელიც უფროსთან გაყრილი იყო და ცალკე სცხოვრებდა, მოინდომა ვენახის მორწყვა და თავისის ძმის მოგდებული წყალი გადუგდო თავისს ვენახს. ამაზედ მოუვიდათ ძმებს ჩხუბი; უფროსმა ძმამ გაარტყა უმცროსს ძმას თავში თოხი და იქვე სული გააგდებინა. რუისპირში კიდევ უმცროსმა უფროსი ძმა მოკლა. საქმე ასე იყო: ერთს დღეს, როცა უფროსი ძმა შინ არ იყო, სოფლის მოხელეები მივიდნენ ხარჯისა და ფოსტის ფულის სათხოვნელად, მაგრამ უმცროსმა ძმამ არ მისცა და იმათ კიდევ გირაოები გაიტანეს სახლიდგან. როცა უფროსი ძმა მოვიდა შინ და შეიტყო გირაოების წაღება, ძალიან გაუჯავრდა უმცროსს ძმას, რაჲ გაატანეო. ამაზედ მოუვიდათ ლაპარაკი ძმებს, შემდეგ ჩხუბად გადიქცა და ბოლოს იქამდის მივიდა საქმე, რომ უმცროსმა ძმამ დაავლო იქვე ნადებ გატეხილს თოფს ხელი, დასცა უფროსს ძმას და იქვე გააგორა. დამნაშავენი მაშინვე შეიპყრეს და საქმეც სწარმოებს.

*** **იქიდამვე გვწერენ:** არც დედაკაცები ჩამორჩნენ მამაკაცებს კაცის კვლაში. სოფ. ყვარელში ცოლს ქმარი შესჯავრებია, სხვა ვინმე შეჰყვარებია და, რომ ადვილად მოჰშორებიყო ქმარს, საწამლავი დაულევინებია და ამით თავიც დაულწევია. სულ სხვაფრივ მოიქცა ერთი სხვა დედაკაცი თელავში. ამ ქალს ქმარი შინ არა ჰყვანდა და ერთმა გარეშე კაცმა გაუპატიურება მოუნდომა, მაგრამ რაც არ ეგულებოდა, იმას წააწყდა. ქალმა თავ-გასულმა და ურცხვს მამაკაცს რევოლვერი დასცა, ტყვიით კბილები სულ ჩაალეწა და ისე გაისტუმრა.

---

მიველ... დარეჯანმა თანდათან ხმა დაიდაბლა,—ქალალდში ისე უნდა გამაიყვანო, რო მე ბექანის დედიდა ვარ და ქიზიყს დისწულის საძებრად მიველ, სთქვა დარეჯანმა და თან შუბის ტარი მაგრად დაჰკრა დედამიწაზე.

— რომელ ბექანის საძებნელად? ბექანს შენი ძებნა რად უნდა?

— იქნება შენ არც-კი გაგიგავ ჯერა, ბიჭო?!

— რა, არაფერი გამიგონია.

— ბექანი ხო დაიკარგა, შე ჩემთავ-მომკვდარო, განაგრძო დარეჯანმა ამოოხვრით,—აღარავინ რა ვიცით იმისა: აღარც შინაურმა, არც გარეულმა, არც იმის ამხანაგებმა—წყემსებმა. ძალოიდენი ბიძა-ბიძაშვილები ჰყვანან და ერთმა ვერ შაიდვა თავსა და ვერ წავიდა და ვერ გაიგო, სად არი ის კაცი, ცოცხალია, მკვდარი? მინდორშიით მოსული ყველა იმას ამბობს. ის დუქანში ქიზიყს მოკლესო, აქით ფული გაეყოლა, ჩამაუდნი, თანა, რაკი ფულს შააგულიანებდენ, რას დაჰზოგავდენ, უპატრონო ოხერ-ტიალი ვინმე იქნება, იფიქრებდენ... ისე გამაგონეს, იქვე დუქნის ახლო სანაგვეში არი ის ჩამარხულიო, მე უნდა ენახო ის ადგილები ყველა... სადღა არი, დამარხე დარეჯანი, წინანდელი ერთ-ურთის სიყვარული და დანდობა! ძაღ-ღორი ქვეყანა გახდა: ერთი მეორის სახს გაჰხედავს, გავიგო კიდევ ამოდისა იმის სახლშით ბოლი თუ არაო; ერთი ოჯახი მეორის დაბუნდოებასა ნატრობს, რომ აგება იმისი მამულები მე დამრჩესო. იმდეენი გეშველოს შენცა, შვილო, და ამ ჩემს ობოლსაც,—დარეჯანი თავის შვილს გამახარეს „ობოლს“ ეძახდა— რამდენიცა ნატრულობდეს სხვა გაწყდეს და მე-კი გავმრავლდეო, სუყველა მე დამრჩესო... რვა თვეა სრული, რაც ბექანისა აღარა ვიცით... აბა რას შნოზე დაეთრევიან ხატებში და ქორწილებში იმის ბიძაშვილები?! თისწყალობა გაქვ და მაქვ, მე კარგა, ლამაზა გამოგილანძღე ძოლან თირუზანი*). რას ამბობ, ბიჭო, გამძღარი გალოთებული ციხე-გოროზით მოსვეს ჩემთან მოიდა ისი და კიდევ სხვა რაიმ ეტანა, ყუნჭივით დაბალა, წვივ-სქელა, ქისერ-ჩაძვრენილა, თავ-მამწონ არა რაიმა,—გაპოხილა, ძველა ქუდის ჩაჩა ეხურა. ერთის სიმღერით, გნიასით, ცხენ-ხეთქით მოცვივდენ ჩვენს კარზე და, არც-კი შაჰრცხვა იმ პირ-ბნელს თირუზანსა, დამიძახა: „მძახალო, აბა არაყან არან გიდგანა, შაგვასმიენ ბატარანი, დაგვალოცვენე, აგრემც დამიტირებო!“

— დაითხოვე აქითაო, უთხარ, განაგრძო დარეჯანმა,—თორო მა თავ-პირს ჩამოგამტვრევ, შე უგვრგილოო, შე ბეჩავოო, აბა რას შნოზე დასდიხართ მზე-ქვეყანაზე, რატუ არ დაჰკვლევთ თავის თავსაო?.. სად დაჰკარგეთ ი კაცი, რატუ არ მოსძებნითო!?—რა ვქნათ, მძახალო, მითხრა, ცუდი დროება ჩამოგვივარდა, ცუდიო!?—ცუდი დროა იმით აღარ უნდა გავიგოთა თავის ცოცხალი და მკვდარი? სთქვა დარეჯანმა ათრთოლებულის სახითა.—განა-კი ვინმე შაშჭამდა მაგ ბეჩავებსა, რო მისულიყვნენ და სადაც ქვეყანა იძახის, იქ მაეძებნა. რა ვიცი, მკითხავსაც ვაკითხვინე და იმანაც ისე მითხრა, როგორც ქვეყანა ამბობს...

დარეჯანმა მეორე დღესვე ცხენით გასწია ქიზიყს თავისებურად მორთულმა, იგი როგორც იყო ჩაჲიდა და დადიოდა სოფლით-სოფლად, კითხვა-კითხვით; თითქმის ყველა დუქნები და ნადუქნარები გადასინჯა, «გადაჰყვენა», მაგრამ თავისის მოგზაურობით იმას გახდა, რომ თუ ფშავში, თავის სოფელში, «დევა»-სა და „პარახოტა“-ს ეძახდნენ, ქიზიყში „მგელ-კაცი“ დაარქვეს... მნახველები ყველა გააკვირვა დარეჯანმა, ბევრს არც-კი სჯეროდა, თუ ის დედაკაცი იყო: „მგელ-კაცი გაჩნდაო“. ეს ხმა ისე გაძლიერდა, რომ თვით თავისის თვალით დარეჯანის მნახველებიც-კი ეჭვში შეიყვანა.

### V

ყველაფერს გაზაფხულის ფერი დასდებია, არაგვის ნაპირებზე მურყნები «გაბზინებულან», გუგული იძახის. არაგვი ადიდებული, „ადევებული“ მოდის. პატარა მდინარეებმაც მოიმატა და ვაი-ვაგლახით მოაგორებდნენ ლოდებსა, კლდეებს,—ხევებს ძირიდამ ჰგლეჯდნენ; ყურთა სმენა აღარ იყო, განურჩეველი და განურკვეველი გრიალი იდგა. პატარა მწყემსები მხიარულად დარბოდნენ მურყნიანებში არაგვის პირას; თვითოეულს მათგანს ხელში საჭე ეჭირა. წვერებზე საჭეებს „შატივ“ ჰქონდა ძუა გაკეთებული. ბალღები მწყრის გუნდს დასდევდნენ. მწყრებს თავ-შესაფარი აღარსადა ჰქონდათ, რადგან ბალახი ჯერ არ იყო კარგად მოსული. აგერ ორი ბალღი ეპარება მწყერს, ერთი ძერას ხმაზე წივის, მეორე საჭეს ამზადებს, მწყემსი ინაბება, ეკვრის დედამიწას. საჭეს პატარა ფშაველი მოუტანს ახლოს და გამონასკულს ძუას ოავზე ჩამოაცვამს, მეორე გაუქშევს, მწყერი აფრთხიალდება და თვეზხივით დაეკიდება. უფროსი ამ პატარებში მხოლოდ დარეჯანია; იგი თავისთვის ზის მინდორზე, დარეჯანის გარეშემო ბატკნები დახტიან, ნაზამთრი საქონელი გამლაშებული გაუმაძღრად სცოხნის ახლად შემწვანებულს დედამიწას. დარეჯანის გვერდზე იმისი განუშორებელი მეგობრები მოსჩანან— ერთი შუბი, მეორე ალაბეშა; დარეჯანს წინ უდგია ხოკერი, იგი ფარტენას ართავს. გამარჯვებული ბალღი გაექანა დარეჯანისაკენ.

— დიდიავ, აია! დაიყვირა იმან და თან მწყერი დაანახვა დარეჯანს.

— გაუშვი, გაუშვი, შე დამეხილო, შენა,—ეუბნება დარეჯანი, თორო არ ვიცი რას გიზამ. რას გილევენ ე ბეჩავები, რო დასდევთ და აწიოკებთ, ცოდვა არ იცითა რა არის!? კარგი იქნებაა თქვენც რო ეგრე ლეკებმა დაგიჭიროთ და წაგასხათ! დარეჯანი ბალღს დაუტკბა და დაშოშმინებითა სთხოვა: მაჩვენეაბა, დიდიასავ, როგორია? ვაჰმე ჩამოგიდნი აგრია, შე დამწვარო! დარეჯანმა მწყერი გაანთავისუფლა და ბავშვი შემდეგის სიტყვებით ანუგეშა: მადლია, შვილო, დედილამა, აბა რას გიჭამს, მძლევარია, შვილო, ჩვენი სტუმარი. წავა ეხლა ეგე და გაგლოცავს გაიზარდე, ღმერთმა დედ მამა გიცოცხლოს რო გამიშვიო. მზე გორის პირს „დაეწვერა“. მწყემსებმა საქონელს გარეშემო მოუარეს და გამოირეკეს სოფლისაკენ. საქონლის ბღავილი ბავშვების ჟივილ-ხივილთან ერთად საამოდ გაისმოდა.

— ვაჰმეო, დაიყვირა ერთმა,— ხთისო წყალმა წაიღო, ბატკანი და ის ორივ ერთად მიაქვო!

მდ. კ—ს მწყემსისთვის ბატკანი მოეტაცნა: ლეთისო თან შეჰყვა ბატკანს, მაგრამ ადიდებულმა მდინარემ მწყემსი და ბატკანი ორივე არაგვში მიიტანა. დარეჯანი თავ-გადაგლეჯილი გაიქცა მწყემსის მისაშველებლად. დარეჯანმა დაინახა როგორ ატივტივებდა არაგვი ლეთისოსა და ბატკანს. იგი გიჟივით, მოუფიქრებლად შევარდა წყალში, მამაცურად ებრძოდა ტალღებს, წყალმა მკერდამდის დაჰკრა. რამდენიც წინ მიიწევდა დარეჯანი, იმდენი წყალი მატულობდა და ისიც ერთად ლეთისოსთან მძიმე ნაზოვრის წყალმა მორევში მიიტანა და კლდეზე მიაწყვიტა. დარეჯანს გონება წაერთვა თითქმის, მაგრამ ხელებს კიდევ აფათურებდა და თან ამბობდა: „სადა ხარ, შვილო, სადა!?“ დარეჯანმა რამდენჯერმე კიდევ წამოიწია ასადგომად, მაგრამ ამაოდ. დარეჯანი და ლეთისო ორივენი დაილუპნენ. დარეჯანი ველარ დაინახე. ქვევით, შორს წყალმა ამოაგდო იმისი შავი თავ-მოსახვევი. დარეჯანი საუკუნოდ გამოეთხოვა წუთი სოფელს. ზედაც დაბნელდა. მთებმა შავი ნაბდები წამოისხეს და მაღლიდამ ამაყად გადმოსცქეროდეს არაგვის ხვობას... არაგვი შეუშფოთრად, უდარდელად მიაქანებდა თავქვე ტალღებს... ხმა არაფრისა ისმოდა, მხოლოდ „წყლის-ჩიტა“ ნამგლის მსგავსის მხრების „თახთახით“—კანკალით არაგვის პირ-პირ „წივ-წივ“-ს გაიძახოდა.

ვაჟა-ფშაველა

1886 წ.

*) სახელია კაცისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. კოტიანეთი.** მართალია, მეგრელებს სახელი გატეხილი გვაქვს და სამეგრელოს ქურდების ბუდედ ჰხადიან, მაგრამ არც ისე გამოწყვეტილი გახლავართ, რომ ამისი წინააღმდეგი არა გვეთქმოდეს-რა. ავს კაცს ფეხი ყველგან აქვს მოკიდებული და სამეგრელოსაც ბევრი ცარცვა და ავაზაკობა უნახავს, მაგრამ ვინ იტყვის, ვითომ ჩვენვე არ გვაწუხებდეს ჩვენივე უბედურება? ვინ იტყვის, ვითომ ჩვენ განზრახ ხელს ვაფარებდეთ ჩვენსავე ყოფა-ცხოვრებასა და სიცოცხლის მტერსა. ბევრი ავ-კაცობა დაუსჯელი რჩება, ზოგსაც ჩვენვე თვალს ვარიდებთ, იმიტომ-კი არა, რომ ავაზაკობის მოსარჩლენი ვართ, არამედ იმიტომ, რომ ზოგი ცნობილი ავაზაკი, რომელიც რაიმე საშუალებით განონსა და სამართალს წასვლია, ჩვენვე გვემუქრება იარაღითა და ცეცხლით; ალბად იმისი იმედი აქვს, რომ არ დაისჯება. ჩვენვე რომ ავაზაკს ხელი მოვკიდოთ და სამართალს მივსცეთ, ვაი ჩვენი ბრალი, თუ ამ ავაზაკმა რაიმე მანქანებით სამართალს თავი დააღწია. მოდით და სდიეთ ავ-კაცებს, როცა გეშინიანთ იმათი გაგულისება!

ეს ასეა, მაგრამ ზოგჯერ მაინც მხნედ და მამაცად ვდევნით ყაჩაღებს და ეს იმისი საბუთია, რომ იმათ ხელს არ ვაფარებთ და მოსარჩლეობას არ ვუწევთ. ამის დასამტკიცებლად გიამბობთ ცოტა გრძელს ამბავს იმის შესახებ. თუ რამდენი სიფხიზლე გამოიჩინეს კოტიანეთლებმა ავაზაკების დევნაში.

სამს ამ თთვისას კოტიანეთში, ნაშუაღამევის სამს საათზე, ერთი აქაური მცხოვრები, აზნაური თომა გაგუა, წამომდგარა ქვეშსაგებიდგან, რათა სანთლით ღამე ეთია ახლად დაშვერილ მიმინოსათვის; თომას ჯერ სანთელი არ აენთო და ისე გარედ გამოსულიყო. ამ დროს მოესმა ყანებიდამ სიმინდის მტვრევა და რაღაცა გაუგებარი ბუტბუტი კაცისა. თომას შეეძახნა: „ვინ ხართ, ასეთს დროს ყანებს რომ გვიოხრებთო“, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. მეორედ, მესამედ და მეოთხედაც რომ შეუძახნია, ვიღაცეებს ეპასუხნათ: ჩვენ მგზავრები ვართ, გზა დაგვებნა და გვასწავლეო. ამაზე თომაც გადასულიყო ეზოდგან და, მისულიყო რა კაცებთან, ეცნო, რომ ავაზაკები და ქურდები ყოფილიყვნენ. მაშინ თომას ეთქვა: გზას-კი გასწავლით, ოღონდ ცოტა ხანს დამიცადეთ, ცხენს დავიჭერ, ეზოში მყავსო. დაბრუნებულიყო და ეს ამბავი შეეტყობინებინა ბიძისათვის, რომელიც იმის გვერდით სახლობს. ამის გამგონე მოხუცი, მხნე ერისთო გაგუა, აწყმოვარდნილიყო და ცხენით გაქანებულიყო დანიშნულს ადგილს გზის შესაკრავად. გზაზე დაეძახნა, რამდენიმე გლეხი გაეღვიძებინა და ორიოდე ამათგანიც თან გაჰყოლოდა. ამასობაში თომა აცდევინებს ავაზაკთ სხვა-და-სხვა ხერხით; ბოლოს, როდესაც რწმუნდება, რომ ბიძა მისი ერისთო აწი მისული იქნება დანიშნულს ადგილზეო, ასწავლის ქურდებს გზას და თითონ-კი უკან გაჰყვება ფეხით, გაიარს რამდენსამე საყენს და შემდეგ მოახტება ცხენს და მიაჭენებს ხევისთავის უფროსთან, რომელსაც დიდის ამბით მღივს აღვიძებს და ორივე ერთად გამოუდგებიან ავაზაკებს. გზაზე ატყობინებენ მეზობლებს, ესენიც დაედევნებიან, მაგრამ მიწევამდე ქურდები მიუდით ჩასაფრებულებს. სტუდება კიყინა ულკულის მხრივ; ავაზაკები მთებში იმალებიან. ერისთო ერთს წამსაც არ აყოვნებს და ვეფხის სიჩქარით მიეშურება გზის შესაკრავად. აღვიძებს მეორე სოფლელებს და გზას უკრავს ავაზაკებს, დაბრუნდება უკან და ჰხედავს მთელი კოტიანეთი ბუკითა და იარაღით გამოსულა. ამ დროს კიდეც გაითენდა და ერთს ავაზაკს, გვარად გოგოხიას, კიდეც იჭერენ; ორი სხვა-კი არა სჩანს. ატყობინებენ ნაჭალაქევის ბოქაულს ბ-ნ ს ი—ს, რომელიც დაუყოვნებლივ მოდის, თავს უყრის სამს საზოგადოებასა და დაუსევს სამებრად, მაგრამ ავაზაკებს მაინც ვერა ჰპოულობენ. ამ დროს წამოუშენს კოკის-პირული წვიმა და მდევნელები იფანტებიან, მაგრამ ზოგიერთები წვიმასაც არ ერიდებიან და გულ-მოდგინედ ეძებენ ავაზაკებს. სამისა თუ ოთხის საათის შემდეგ წვიმაც გადიღებს ცოტას და ხალხი ისევ შეუდგება თავისს საქმეს, გაიმართება თავის სრულ იმ ადგილისკენ, სადაც კვალი მიიტანს, შეიქნება ბუკი და კიყინა. უცრად შეშინებული და დაწუწული ყაჩაღი—ჩხაპელია გამოხტება ტყიდგან, ანაზდად გამოსტაცებს პატარა მწყემსს ცხენს, მოახტება ზედ და მოეკიდება აღმართს. ამ დროს მოხდენილი და მარდი ახალგაზრდა გლეხი (ისევ კოტიანელი) ზეგლარ ნინუა გამოუდგება ცხენითვე და დაეწევა. ყაჩაღი აშინებს ყმაწვილს რევოლვერით, მაგრამ ნინუა უპასუხებს: მე ტყვიის რომ მეშინებოდეს, არც გამოგეკიდებოდიო. ყმაწვილი თითონვე იძრობს რევოლვერს და გაისვრის ავაზაკის შესაშინებლად. შიშისაგან წელ-მოწყვეტილი ყაჩაღი აგდებს ცხენს და ქვეითდება; ამასობაში სხვებიც წამოეწევიან და იჭერენ ავაზაკს. ეს ორი დღისით დაიჭირეს და მესამეც ღამით შეიპყრეს დარაჯებმა.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ამიენში ამ დღეებში გარეშე საქმეთა მინისტრს გობლეს წარმოუთქვამს სიტყვა. ამ სიტყვას ძრიელ აქებენ გაზეთები. მაინც მხოლოდ გობლესა და ფრეისინეს თუ შეუძლიანთ დღევანდელ მინისტრთა შორის წარმოსთქვან მართებული სიტყვა, ისეთი სიტყვა, რომ შესანიშნავი იყოს თავ-დაჭერილობითა და კეთილ-გონიერებითაო. სწორედ ასეთი იყო ის სიტყვაცა, რომელიც წარმოსთქვა გობლემ ამიენშიო. ეს სიტყვა ჯერ გაზეთებში არსად არ არის დაბეჭდილი და, სამწუხაროდ, სიტყვა-სიტყვით ვერც მოვიყვანთ აქა. შინაარსი მისი-კი მოკლედ გვაცნობეს დღევანდელმა რუსულმა გაზეთებმა. გობლეს ტრაბახი არ დაუწყია თავისს სიტყვაში და არც არავისათვის გადაუკრავს სიტყვა. მუქარითაც არავის დაჰმუქრებია. უთქვამს მხოლოდ, რომ შინაურმა უთანხმოებამ დააუძლურა საფრანგეთიო. ეს უძლურება მოისპობა მხოლოდ მაშინ, როცა ყველანი შეეერთდებით და დღევანდელს მთავრობას მივცემთ მხარსაო. გობლეს უთქვამს, რომ თავისს დღეში ერთა-შორისი მნიშვნელობა საფრანგეთისა არ ამაღლდება მარტო იმ დასთა დახმარებით, რომელნიც მთავრობის მომხრენი არიან დღესაო. საჭიროა საფრანგეთის დიდებისათვის ისინიც შეგვეწიონ, რომელნიც რაიმე მიზეზით არ თანაუგრძნობენ დღევანდელს მთავრობასა. ამ დასთა დაუხმარებლობაა მიზეზი, რომ საფრანგეთი ველარ შეიქმნა კვლავ „დიდი და ძლიერი“ სახელმწიფოდ. მართალია, ფლოკეც ბევრჯერ ურჩევს ხოლმე ფრანგებს შეეერთდით, თანხმობით ვიმოქმედოთო, მაგრამ ეს ქადაგება ბევრს სხვა ნაირად ესმის, სახელდობრ, ბევრს ჰგონია რომ ეგ ერთგულება ჰნიშნავს ყველა დასთა დამორჩილებას საპარლამენტო დასის წინაშეო. ამბობენ, რომ თუ არჩევნებში დღევანდელის სამინისტროს საქმე ცუდად წავიდა, მის მომდევნო სამინისტროში უთუოდ მოჰყვებიან მხოლოდ გობლე და ფრეისინე, როგორც ყველაზე თავ-დაჭერილნი, მართებულნი და კეთილ-გონიერნი მოღვაწენიო.

# წვრილი ამბები

იტალიის დედოფალი ახლა უკვე რამდენიმე კვირაა კურმაიერშია, თავისს საყვარელს ადგილას, და რამდენჯერმე ასულა მთებზე, როგორც თამამი და გამბედავი მოგზაური. ორის სასახლის ქალისა, ერთის გაგვაცისა და მსახურით თურთ დედოფალი პირველში კრამმონის მთაზედ ასულა, ხოლო შემდეგ კამბალის მწვერვალზედ. ამის შემდეგ ასულა კიდევ მონ-საკსა, მონ-პეტიფსა და მონ-ყანზე. უკანასკნელად მთაზედ ასვლაზედ მშვენიერი დარი ყოფილა, ხოლო 2,200 მეტრს ასცილებიან თუ არა, ქარიშხალი ატეხილა, ასე რომ დედოფალი იძულებული გამხდარა შესულიყო უბრალო, ღარიბ-ღატაკ გლეხისას და იქ გაეთია ღამე. მეორე დღეს საღამოს დედოფალი კურმაიერში დაბრუნებულა. ამ გვარ სეირნობის დროს დედოფალი მარგარიტა იცვამს უბრალო ტანისამოსს, გემოვნებითა და ლაზათით შეკერილს. იტალიურ ალპიის კლუბს განზრახვა აქვს თურმე ამ ახლო ხანებში, რომ იტალიის დედოფალი თავისის კლუბის საპატიო თავს-მჯდომარე ქალად აღმოირჩიოს.

— ვერინგეში, ვენას ახლო, გარდაცვლილა ვიღაცა მდიდარი და შეძლებული კაცი, რომელსაც მთელი თავისი დიდ-ძალი ქონება შორეულის ნათესავებისათვის დაუტოვებია. ამას გარდა გარდაცვალებულის ანდერძის წერილს შემდეგი სიტყვები ჰქონია ცალკე მიწერილი: „ამ მამულებსა და ფულს გარდა, მე ვუანდერძებ ჩემს ნათესავებს 20,000 მანათს, რომელიც ისეთს ადგილას არის დაფარულ-დამალული, რომ ჩემსა და ჩემის ძაღლის ფუქსელის მეტმა არავინ იცის. მემკვიდრეებმა მხოლოდ ორი სიტყვა უთხრან ძაღლს—‹ფუქსელ, ეძებე!› და იგი მოჰხელავს“. ამ მიწერილის სიტყვების თანხმად მემკვიდრეებს დაუწყიათ ფულის ძებნა, ხოლო უთქვამს თუ არა პირველს „ფუქსელ, ეძებე!“, ძაღლი მიჰვარდნია ყუთითა და განჯი გამოუგლეჯნია.

— ვენაში შეუდგენიათ ახირებული საზოგადოება. ამ საზოგადოებას ეწოდება „საზოგადოება, რომელიც ჩაის ფულს არ აძლევს“. საზოგადოების დანიშნულება თითო სახელ-წოდებიდგანვე სჩანს, ხოლო იმის გამო არის გამოწვეული, რომ, ზოგიერთების აზრით, ‹საჩაიოდ› მიცემული საჩუქარი 5.000,000 მან. იჭერს წელიწადშიო.

— პარიჟის ერთის თეატრის მოსართავს ოთახებში მეტის-მეტად ბევრი მოხუცი დედაკაცები იყრიდნენ თურმე თავსა იმ საბაბით, რომ მომღერალთა და მოთამაშე ქალთა დედანი ვართო. რომ ვერაფრით მოუღიათ ბოლო ამ მოხუც დედაკაცთა მოზღვავებისათვის, თეატრის დირექციას შემდეგი განცხადება გამოუკრავს: ‹ყოველ არტისტ - ქალს ნება აქვს თეატრში ერთი დედა გამოიყოლოს მოსვლისას, სოლო რამდენისამე მოყვანა-კი აღკრძალულიაო›.

— სიყვარული, როგორც სჩანს, უფრო ძლიერია ყველა დედა-აზრსა და რწმენაზედ. ცნობილი დამცველი და მოსარჩლე ქალთა უფლებისა, მკიცხავი კაცებისა და დირექტორი-ქალი რადიკალურის გაზეთის „Citoyenne“-სა გუბერტინა ოკლერი თხოვდება თურმე. ის ბედნიერი კაცი, რომელსაც ეს დედაკაცი მისდევს, გახლავსთ ანტონინ ლევრიე, ფრენლოს მომრიგებელ-მოსამართლე.

— აი კიდევ ერთი მსხვერპლი გრძნობათა აღმგზნებ რომანებისა. ამას წინად, ბელგიის გაზეთების სიტყვით, ლაჰესტრეში თავი ჩამოუხრჩვია 19 წლის ყმაწვილ კაცს ტერრროარეს, რომლისათვისაც რომანების კითხვას გონება დაუბნევია. ჩამომხრჩვალს ყმაწვილს ხელში სჭერია გაზეთი, რომლის ფელეტონშიაც მოთხრობილი იყო თურმე ამბავი ერთის ჩამომხრჩვალის კაცისა.

# გასართობი

ზოგს ადამიანს ბუნებადა სჭირს თავის მოტანა მწვანე კიტრივით, იმ საქმის კისრვა, რაც არც მაინცა და მაინც საჭიროა და არც ფხა და უნარი მოსდევს იმისის გაკეთებისა. ამისთანა კაცი წაეპოტინება ხოლმე ყველაფერს, ყველგან ცხვირს წაჰყოფს,— არა-მწერალი მწერლობს, მწერალი ჯამბაზობს და ჯამბაზი კიდევ ხუროთ-მოძღვრობს. არიან ჩვენში ამისთანა მონადირენიც, რომელნიც სანადიროდ წავლენ, იყიდიან გორისა და ან სხვა რომელსამე რკინის გზის სადგურთან ათას ნამდვილ მონადირე „ოს განოებისაგან“ დახოცილს ნადირს და ყოყოჩად ჩამოიტანენ ქალაქს: შემოგვხედეთ, რა ბიჭები ვართო! აი ამისთანა მონადირეებისათვის ერთი საშუალება აღმოუჩენია „Стрекоза“-ს და ვერ მოვითმენთ, რომ ჩვენს მკითხველებს არ განვუზიაროთ. აიღეთ მთელი უდაბნოვო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, და ჩაჰყარეთ უშველებელს რკინის საცერში. მიწა სულ გაიცრება, ძირს წავა, ხოლო ლომები-კი დარჩებიანო. მაგრამ გაზეთს ის ავიწყდება მგონი, რომ ამისთანა მონადირეებს სიზმარში ლანდად მოჩვენებული ლომიც-კი ააცახცახებსთ ხოლმე, არამც თუ ცხადად და ისიც ცოცხალი.

**

ერთს მოქადაგესა და მქადაგებელს იმისი დამტკიცება სდომებია, რომ მამა-სისხლად გირაობაზედ ფულის მსესხებელთა ხელობა მეტად სათაკილო და საზიზღარიაო, და, რომ ვერა მოუხერხებია-რა, მიუმართავს შემდეგის საკითხით მსმენელთათვის:

— თქვენს შორის არის ვინმე ხარაზი, თუ არა?

— აქ გახლავართ, მამაო! მოისმა თურმე ხალხიდგან ხმა.

— დურგალი?

— არის, არის!

— მეშუშე, ქვის-მფენელი, გობების გამკეთებელი?

— აქ არის, არის, არის!

— ჯალათიც ხომ არ გირევიათ თქვენს შორის?

— რა დავმალო, აქ გახლავართ, მამაო, მაგრამ მე ხომ ყველას კანონისამებრ ჩავდივარ და ცოდვას ჩემ კისრად არა ვღებულობ,—უპასუხა ჯალათმა.

— ძალიან კარგი. მაშ აბა მითხარით, არის თქვენში ვინმე მამა-სისხლად გირაოებზედ ფულის გამსესხებელი?

ხმა არავინ ამოიღო.

— ჰხედავთ, ყველანი აღიარებენ და ამხელენ თავიანთს ხელობას, იმათ გარდა. მარტო იმათა სრცხვენიანთ თავიანთის ხელობისა, ისეთი საზიზღარი ხელობაა ეგ ხელობაო, დაამთავრა თურმე თავისი სიტყვა მქადაგებელმა.

# დეპეშა

16 სექტემბერი*)

**ხარკოვი.** ქვა-ნახშირის მრეწველთა კრებამ საჭიროდ დაინახა თავისს დროზედ გაარკვიოს და რიგში მოიყვანოს ქვა-ნახშირისა და ნავთის მრეწველობა, რათა ერთი მეორეს არ უშლიდეს და ზარალს არ აძლევდეს, განსაზღვროს, რა ბაჟი უნდა დაედოს ქვა-ნახშირს შავის ზღვის ნავთ-სადგურებში, იშუამდგომლოს, რომ მეტი ვაგონები იყოს და მეტის საქონლის გადატან-გადმოტანა შეიძლოს რკინის გზებმა, გაიიაფოს ტარიფები, გააკეთოს საწყობნი ქალაქებში ქვა-ნახშირისათვის, გაადვილოს ფულის სესხება და სხვანი.

**სტამბოლი.** ხონთქარმა სულითა და გულით მიიღო გუშინ დიდნი მთავარნი სერგეი და პავლე ალექსანდრეს ძენი და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული. შემდეგ გაიმართა ბანკეტი, რომელზედაც დაესწრენ: მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი, ელჩი ნელიდოვი მეუღლეთურთ, ბ-ნი ონუ, უფროსნი მდივანნი და დრაგომანები რუსეთის საელჩოსი, ბრიტანიისა და გერმანიის ელჩნი უაიტი და რადოვიცი, დიდი ვეზირი, ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი და სამეფო კარისკაცნი და დიდებულნი ოსმალეთისანი. დიდნი მთავარნი სახელდებულ იქმნენ ორდენის ოსმანიეს კავალერებად, დიდს მთავრინას ეთავაზა ორდენი „შეფაკატა“ 1-ის ხარისხისა ლენტითურთ. ამას გარდა ებოძა ესევე ორდენი ოზეროვისას 1 ხარისხისა და კაზლიანინოვისას მე-2 ხარისხისა. დღეს დიდთა მთავართა ჰნახეს სერალი და შეიდკოშკიანი ციხე ფანარესში. საღამოზე რუსეთის საელჩოში იქნება დიდი წვეულობა, რომელზედაც დაპატიჟებულნი არიან რჩეულნი. შემდეგ შუშხუნებს აუშვებენ და ჩირაღდნებს გაჰმართავენ. დეკორაციები მშვენიერად არის მოწყობილი. დღესვე მათნი უმაღლესობანი წავლენ პალესტინაში.

**სტამბოლი.** იტალია, თავის მიერ მასსოვას დაჭერის გამო, თხოულობს, რომ ოსმალეთის მიერ გამორკვეულ იქმნას იმისი აფრიკის სამფლობელოს საზღვრები და მხოლოდ ამ პირობით თანხმდება იმ ოქმზე ხელის მოწერას, რომელიც განმარტავს ოსმალეთის უფლებათა მეწამულის ზღვის დასავლეთს ნაპირზე. ოსმალეთი უარზე სდგას და ამიტომ სუეზის ხელ-შეკრულობის დასამატებელი ოქმი არ შესდგება.

**ლონდონი.** ბრიტანიის მთავრობამ მიიღო ოფიციალური მოხსენება, რომ პოლკოვნიკი გრაამი სდევნიდა ტიბეთელებს რინ-კნ-გონგამდე ტიბეთში, ხოლო წინააღმდეგობა არავინ გაუწია. ტიბეთელების ჯარი სრულიად დაბნეული და ძალა-მიხდილია. ბრიტანიის ექსპედიციამ გნა-ტონგამდე მიაღწია.

17 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ბეჭდვა ვარშავის ებრაულის გაზეთის „ჰაცეფირისა“ შეყენებულია ოთხის თთვით.

*) მიღებულ იქმნა 18-ს, ნაშუაღამევის პირველს საათზედ, და დაგვიანებულ მავთულის გაფუჭების გამო.

ცალკე ნომრობით ყიდვა „Бирж. Вѣдомости“-სა აღკრძალულია.

„Прав. Вѣст.“ი აცხადებს, რომ „Биржевыя Вѣдомости“ არავითარს ცნობებს არა ღებულობს ფინანსთა სამინისტროდგან და ამ გაზეთის მიერ დაბეჭდილ ამბებს ფრთხილად მოეპყარით, რადგან ხშირად უკულმართად ჰმარტავს სამინისტროს მოქმედებათა და უსაბაბოდ აცხადებს ხოლმე, რომ ამ სამინისტროს ესა-და-ესა სწადიანო და ესა-და-ესა ჰსურსო.

სახელმწიფო ბანკი დღეიდამ მიიღებს ფულს სხვა ქალაქში გარდასაცემად ცალკე ბილეთებით და დეპეშით გარდასაცემსაც. ფულის რაოდენობა შეიძლება იყოს 200 მანათზედ ნაკლებიცა, ხოლო არა ნაკლებ 25 მანათისა.

**ბომბეი.** ავღანისტანიდამ იუწყებიან, რომ ბამიანის ხეობაზე წასული ჯარი 17 სექტემბერს მივიდა ხაიბაკში, მაგრამ იქ ვერ ჰნახა ისხაკ-ხანის ჯარები, რომელნიც, როგორც ჰფიქრობენ, ამ ჟამად კატტი-კურგანში უნდა იყვნენ. ინგლისის მისიის გაგზავნის თაობაზე ქაბულში ჯერ არაფერია გადაწყვეტილი.

**ვენა.** იმპერატორი ფრანც-იოსები გუშინ, როცა არტილერიამ ზარბაზნების სროლა დაიწყო ფლორისდორფს ახლო, განსაცდელში ჩავარდა: არტილერიის ბატარეიამ ვერ გაიგონა სროლის მოსპობის ნიშანი, ესროლა ზარბაზნები იმ სიმაგრეს, რომელსაც იმპერატორი და მისი ამალა სინჯავდა; ზარბაზნები მოხვდა სიმაგრის კედლებს და იმპერატორსა და მის ამალას-კი არა დაუშავდა-რა.

სლატინსა და პიტეშტს შორის იმ მატარებელს, რომელშიაც იყო ჰერცოგინია კლემენტინა კობურგელისა, ქვები დაუშინეს და რამდენიმე შუშა ჩაამტვრიეს ვაგონებში.

18 სექტემბერი

**როსტოვი** (მდ. დონზე). გუშინ საღამოს მათ უდიდებულესობათა გაიარეს როსტოვზე. ვაგზალზე მათ უდიდებულესობათა თხუთმეტს წუთს შეისვენეს. ხელმწიფე იმპერატორს პურ-მარილი მიართვეს ქალაქებმა როსტოვმა და ტაგანროგმა. ხელმწიფე იმპერატრიცას მიართვეს თაიგულები. ვაგზალი, ქალაქი და გემები ჩინებულად განათებული იყო. ასიათასი მცხოვრები შეუწყვეტელის „ურა“-ს ძახილით მიეგება და გააცილა მათნი უდიდებულესობანი.

**პარიჟი.** როცა სესია დაიწყება, სამინისტრო შეიტანს პროექტს კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე. ამ პროექტის ძალით უნდა შეამცირონ სენატის უფლება საფინანსო საქმეებში და აგრეთვე სენატს უნდა ჩამოერთვას უფლება პალატის დათხოვნისა.

19 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ ესე დღის 5 საათზე მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, მემკვიდრე, ცესარევიჩი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე მიბრძანდნენ კავკავს. მორთულსა და მოკაზმულს რკინის გზის სადგურზე მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ: გენერალ-ადიუტანტი შერემეტიევი, სამხედრო და საერო მთავრობის წარმომადგენელნი, საპატიო ყარაული ყაბარდოს პოლკისაგან, ჰამქარნი. ქალაქის თავმა მიართვა მათ უდიდებულესობათა პურმარილი და კავკავის არე-მარეს სურათები, რომელიც სინზე ეწყო; ჰამქრებმა მიართვეს პურ-მარილი ვერცხლის სინით; მის უდიდებულესობას იმპერატრიცას მიართვეს თაიგულები. სადგურიდამ მათნი უდიდებულესობანი მიიმართნენ ტაძრისაკენ. ქუჩები ხალხით იყო სავსე და ჯარები მწკრივად იდგა. ტაძართან შეგროვილი იყო მოსწავლე ყველა სასწავლებლებისანი. ტაძრიდამ მათნი უდიდებულესობანი წაბძანდნენ იქაურ ოლქის უფროსის სახლში. წინ მიუძღოდა ყოვლად-სამღვდელო და ულოცავდა გზას. სახლში იდგა საპატიო ყარაული მათის უდიდებულესობის პრეასლავის პოლკისა და მეორე ყარაული მოხუცებულთა გიორგის კავალერებისაგან შემდგარი. ესენი იყვნენ თერგის ყაზახთა ჯარისაგან. საპატიო ყარაულის მარჯვნივა და მარცხნივ იდგნენ ყველა სამხედრო უფროსნი და დეპუტაციები, თერგის ყაზახთა სტანიცებისა. დეპუტაციების უფროსებად ატამანები იდგნენ და ხელში ეჭირათ ატამანობის ნიშნები. აქვე მეიდანზე იდგნენ ყაზახთა ქალები ჩერვლენაისა და სხვათა სტანიცებისა თავიანთ თავისებურის ტანისამოსით დართულნი. იდგნენ აგრეთვე დეპუტაციები მთიელთა ტომისანი. მათ უდიდებულესობათ ჩაუარეს ყარაულსა და დეპუტაციებს. შემდეგ ამ ყარაულმა და დეპუტაციებმა გაიარეს საცერემონიო მარშით. მათ მოჰყვნენ უკან ცხენებით ორასამდე მცირე წლოვანნი ყაზახთა ყრმანი. ყველანი ღირსნი შეიქმნენ ხელმწიფის მადლობისა. საღამოზედ შინაური სადილი იყო და ქალაქი ლამაზად გაჩირაღდნებული.

გუშინ დილით დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ და დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე მიბრძანდნენ გემით „Кострома“ სმირნას და აქედამ ჰფიქრობდნენ ეფესში წაბრძანებას. საღამოზე გემი „Кострома“ უნდა აეშვათ და ბეირუთისკენ წასულიყო.

გუშინ გარდაიცვალა «Молва»-ს გამომცემელ-რედაქტორი ვ. ა. პოლეტიკა.

**პარიჟი.** მთავრობის მომხრეთა და მახლობელთ ძალიან ეფიქრებათ, რომ პალატის კრებათა დაწყების დროს ბულანჟემ კვლავ არ დაიწყოს თავისი ოინები. თუ პალატამ უარჰყო მთავრობის პროექტი კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე, სამინისტრო სამსახურიდამ გადადგება. პროექტი თხოულობს მხოლოდ სენატის უფლებათა შემცირებასაო.

პეტერბურგის ბირჟა, 16 სექტემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 55 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 149 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 15 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 251½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 231 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | 97 „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | 97 „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | 82 „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

სექტემბერი 30 დღით არის.

20 დღე სამშაბათი. დიდ. წამ. ევსტატესი და მიხეილისა. კათოლ. ფელიქსისა. მუსულ. მე-26 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.— დაარსებულ იქმნა ტფილისში რუსული თეატრი, 1845 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 5—49, ჩადის 5—36. მთვარე 27 დღისაა.

21 დღე ოთხშაბათი. ღირსისა დიმიტრისა. კათოლ. მოციქულ-მახარ. მათესი. მუსულ მე-27 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 6—0, ჩადის 5—36. მთვარე 28 დღისაა.

22 დღე ხუთშაბათი. წამ. წინასწარმეტყ. იონასი. კათოლ. ევ. თომასი. მუსულ. მე-28 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 6—1, ჩადის 5—34. მთვარე 29 დღისაა.

23 დღე პარასკევი. ჩასახვა წმ. იოანნესა და წამ. ანდრიასი, პეტრესი და სხ. კათოლ. ლინასი. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ტფილისში ძლიერი მიწის-ძვრა იყო, 1804 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 6—2, ჩადის 5—32. საღამოს 5 საათსა და 37 წუთ. დაბადება მთვარისა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ „ |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 4 „ |
| „ „ 3 „ | 3½ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 „ |
| მე-3 — . . . | „ „ |
| ძროხის ხორცი . . . | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი . . . . | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| ღორის ხორცი . . . | „ „ |
| „ 2 „ | „ „ |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 2 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი. | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | დღისით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი. . | 8 | 24 | — | — |


## განცხადებანი

### ნერსესიან სომეხთ სასულიერო სემინარიის სამზრუნველოში

სექტემბრის 21-ს, საღამოს 8 საათზედ, დანიშნულია ვაჭრობა (განუმეორებლად). ამ ვაჭრობაზედ იჯარით ვაიცემა სემინარიის 21 დუქანი, რომელიც ნერსესიან სემინარიის ძველის შენობის პირდაპირ არის. პირობის შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირაუქმე დღეებს გარდა, დილის 10 საათიდამ 12 საათამდე. (3—3)

### წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . | › 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. . . . . . . | 1 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | „ 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . . | „ 25 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ 25 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა . | „ 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ 20 |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . . | 3 50 |
| ვაზის ობი. . . . . . . | „ 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . . | „ 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . . | „ 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ 5 |


Доз. ценз. Тифлисъ, 19-го Сентябрь 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე